აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

24 იანვარი, 2019

დადგენილება № 23(18/19)

პროფესიული პროგრამებზე მარეგულირებელ წესში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 05 აგვისტოს № 84 (14/15) დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის, პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „გ) პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად აუცილებელი კრედიტების ვერ დაგროვება;“
2. დადგენილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.
3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე